# ჩუ

## საქმიანობის შესახებ

„**ჩუ**“ არის ჟესტური ენის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი სოციალური საწარმო, რომელიც სამაგიდო თამაშების მეშვეობით ცდილობს საზოგადოებაში თანაბარი შესაძლებლობების გაჩენას. “ჩუს” **სოციალური მისიაა** სმენის შეზღუდვის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა ჟესტური ენის პოპულარიზაციის გზით.




## სოციალური საწარმოს პროდუქცია/სერვისი

**“ჩუ” ქმნის სამაგიდო თამაშებს, რომლებიც აგებულია ყველასათვის საყვარელი ძველი თამაშების პრინციპებით და ხელს უწყობს ჟესტური ენის მარტივად დასწავლასა და მეხსიერების განვითარებას.**
**თამაშები რეკომენდირებულია 6 წლიდან ბავშვებისა და მოზარდებისთვის**

**კორპორატიულ დამკვეთებს სოციალური საწარმო სთავაზობს არსებული სამაგიდო თამაშების მოდიფიცირებას - სიტყვებისა და დიზაინის შერჩევას მათი ინტერესებიდან გამომდინარე**

**დაინტერესებულ პირებს საწარმოს წარმომადგენლები სთავაზობენ სამაგიდო თამაშების შეჯიბრის მოწყობის სერვისს ინსტრუქტორის თანხლებით**

## სოციალური შედეგები

- საპილოტე რეჟიმში 200-ზე მეტმა ადამიანმა ითამაშა „ჩუს“ სამაგიდო თამაშებით, რამაც ხელი შეუწყო ჟესტური ენის პოპულარიზაციას
- შექმნის დღიდან გაიყიდა 600-მდე სამაგიდო თამაში
- ჟესტური ენის პოპულარიზაციის მიზნით “ჩუმ” მოაწყო 500+ ღონისძიება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში





+995 568 610 330

chu.social@gmail.com

https://bit.ly/2ZA3Ft2

გიული ჭოხონელიძის ქუჩა 5, თბილისი, საქართველო